

# მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება მათემატიკის გაკვეთილზე

მარიამ კოსტავა

თამთა ჯანაშია

ნიკა უთალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი კოსტავა /მ.კოსტავა/

თამთა ჯანაშია /თ.ჯანაშია/

ნიკა უთალიშვილი /ნ.უთალიშვილი/

22.06.2019

## აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე „მოსწავლის ჩართულობის ამაღლება მათემატიკის გაკვეთილზე“, რომელიც ჩატარდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის VII კლასში.

კვლევის მიზანი იყო ჯგუფური და დიფერენცირებული მეთოდების გამოყენებით მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა მათემატიკის გაკვეთილზე, რადგან ჯგუფური და დიფერენცირებული სასწავლო სტრატეგიები მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლების განმსაზღვრელი და ხელშემწყობი ფაქტორია.

საკითხის მრავალმხრივი შესწავლის მიზნით, განვიხილეთ მასთან დაკავშირებული თეორიები, ექსპერტთა მოსაზრებები, ჩატარებული ექსპერიმენტები, სასწავლო სტრატეგიები და საერთაშორისო კვლევების (PISA, TIMSS, PIRLS) შედეგები, რომლებიც დეტალურად განიხილავენ მოსწავლეთა ჩართულობის მნიშვნელობას სასწავლო პროცესში და მის ხელშემწყობ ფაქტორებს. კვლევის მიმდინარეობისას გამოვიყენეთ ხუთი სახის კითხვარი, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო და ქართულ სამეცნიერო წიგნებში გამოქვეყნებულ კვლევებზე დაყრდნობით.

ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებას ხელს უწყობს დიფერენცირებული და ჯგუფური დავალებების განხორციელება, რამაც გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

**საძიებო სიტყვები:** მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა მოტივაცია, აკადემიური მოსწრება, ჩართულობის სტრატეგიები, საერთაშორისო კვლევები.

## Abstract

The mentioned paper is a report of the practical research titled “ Improving Student Engagement in Math Lesson” executed by us, which has taken place in Grade VII of one of the public schools of Tbilisi.

The research aimed to increase the student engagement in math lesson using the group and differentiated methods, because the group and differentiated learning strategies are determining and contributing factors for improving the student engagement.

For the purposes of multisided study of this issue, we have discussed the related theories, experts’ opinions, previous experiments, learning strategies, and outcomes of international researches (PISA, TIMSS, PIRLS), which consider the significance of student engagement in learning process and its contributing factors in details. While making the study, we’ve used the five types of questionnaires created based on researches published in international and Georgian scientific books.

Our study has confirmed that improving the student engagement in teaching-learning process is supported by implementation of differentiated instructional strategies and group tasks, which has increased the students’ motivation and academic performance.

**Kew words:** student engagement, students’ motivation, academic performance, engagement strategies, international research.

## მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციასა და მასწავლებელს თანამშრომლობისათვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მოწვეული მასწავლებელი - ქეთევან თოდაძეს, კვლევითი ნაშრომის დამუშავებაში გაწეული დახმარებისთვის.